

N 7
29/07/2016

7-07-4-201607291513



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N7

ქ.ლანჩხუთი

19.07.2016 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს ფრაქციის, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქციის, „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე, ემზარ თევდორაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორების“ თავმჯდომარე, ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე, ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქციის, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიმიჯური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერე ტულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედიის წარმომადგენლები. გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი (სხდომას შემოუერთდა მე-3 საკითხზე).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ გამგეობიდან განსახილველად შემოვიდა რამდენიმე ახალი საკითხი, რომელიც დამატებული აქვს დღის წესრიგის პროექტს:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სსაკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის, თავმჯდომარის არჩევისა და პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N87 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

7. „ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

8. ა(ა)იპლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დაქვემდებარებაში არსებული სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გარკვეული კატეგორიისათვის შეღავათების დაწესების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივის შესახებ.

/მომხსენებელი ი. ჩხაიძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების

შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენისშესახებ.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

10.,„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჭყონაგორაში მდებარე უძრავ ქონების (ს/კ 27.04.49.450) სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენისთაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

11. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

სხვადასხვა:

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარეგიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა მორიგი საკრებულოს სხდომის მოწვევის საკითხზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 29 ივლისი, 10 საათი.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის N№964 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტს გამოეყო 850000 ლარი. ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის დამატებითი წერილით დაზუსტებული იქნა პროექტები და გზებისა და ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე განისაზღვრა 307209 ლარი, ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 542791 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №1340 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტს გამოეყო 68988 ლარი ინფრასტრუქტურის სამსახურის წერილის საფუძველზე საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციოდ.

განხილული იქნა ა(ა)იპ უფასო სასადილოს წერილი და მიზანშეწონილად ჩაითვალა რომ, სუბსიდიის მუხლი შემცირდეს 200 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 200 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის წერილის საფუძველზე შემცირდა სხვა ხარჯების მუხლიდან 3200 ლარი და შესაბამისად გაიზარდოს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 3200 ლარი, ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციო ცენტრის წერილის საფუძველზე შემცირდეს სუფსიდიის მუხლი 26000 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 26000 ლარით.

გამგეობის შტატით მომუშავეთა ხელფასის ფონდი შემცირდეს 22000 ლარით, გამგეობის შტატგარეშე მუშაკთა ხელფასის ფონდი 18000 ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს 28000 ლარით მუნიციპალიტეტის საკრებულოს შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურების ფონდი და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა 12000 ლარით.

ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის განმარტებითი ბარათით გამოიკვეთა, რომ აუცილებლობას წარმოადგენს ცენტრალური საავადმყოფოს ეზოს მიმდებარე გზის მოწესრიგების სამუშაოების დაფინანსება 4000 ლარით, რომელიც ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული. მიზანშეწონილად ჩაითვალა კეთილმოწყობის სამუშაოების მიზნით შემცირდეს გამგეობის ტრანსპორტის ტექნიკის და ექსპლუატაციის მოვლა შენახვის ხარჯების მუხლი 4000 ლარით და გაიზარდოს მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაციისა და მოვლა შენახვის ექსპლუატაციის სამუშაოები 4000 ლარით.

სოციალური სამსახურის მოხსენებითი ბარათის განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის 3000 ლარით, ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამის 1000 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახები სდროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის 7000 ლარით, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის 19000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოციალური პროგრამების მუხლი მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარები სპროგრამა 30000 ლარით. მისი თქმით მიზანშეწონილია წარმოდგენილი ცვლილებები აისახოს სბიუჯეტში.

დეპუტატმა, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა წარმოდგენილი დოკუმენტის ბოლოს აზხაცში წერია, რომ გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის 3000 ლარით, ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამის 1000 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის 7000 ლარით, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის 19000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოციალური პროგრამების მუხლი მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა 30000 ლარით. მისი თქმით .თავის დროზე აღნიშნული თანხა წარმოდგენილ მუხლებში სწორედ გამგეობის ამ სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე იყო ჩადებული. დეპუტატის თქმით კარგი იქნებოდა ბიუროს სხდომას დასწრებოდა გამგეობის სამსახურის უფროსი და მას გაეკეთებინა განმარტება, რადგან ეხლა გამოდის, რომ 19000 ლარით ზედმეტი იყო გათვალისწინებული სოციალურ-კულტურული პროგრამების დაფინანსებისთვის.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** უპასუხა, საკითხისადმი დამატებითი განმარტება საკრებულოს კომისიებში განხილვის დროს გაკეთდება.

დეპუტატმა **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ იგი შეურაცხოვილად გრძნობს თავს, რადგან თავის დროზე სწორედ ამ სამსახურის მიერ მოხდა აღნიშნული ციფრების შემოთავაზება, რასაც საკრებულომ მხარი დაუჭირა. დეპუტატის დაინტერესდა თუ რას ნიშნავს 19000 ლარი აღარ არის საჭირო სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. მაშინ მისი თქმით ბიუჯეტი თავის დროზე რატო დაიგეგმა არსებული ციფრებით. ასევე მან აღნიშნა, რომ მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამაზე აბსურდია სამსახურს მორჩეს თანხა, რადგან მუნიციპალიტეტში ცნობილია თუ რამდენი მრავალშვილიანი ოჯახია. მისი თქმით როცა მოხდება ამ საკითხის საკრებულოს კომისიებში განხილვა, ამას სერიოზული დაფიქრება სჭირდება.

დეპუტატმა **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ რადგან მუნიციპალიტეტში მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა დადგენილია კონკრეტულ ასაკამდე, აქედან გამომდინარე შესაძლებელია აღნიშნული საკითხი განპირობებული იყოს მრავალშვილიანებში ასაკის მონაცვლეობიდან გამომდინარე.

დეპუტატმა **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ როცა ასაკობრივ კონტიგენტის არჩევაზე საუბარი ამ შემთხვევაში ყოველი თეთრის გათვლა ზუსტად უნდა მოხდეს. წინასწარ უნდა იყოს ცნობილი პროგრამაში მოხვედრილ ადამიანს როდის უსრულდება ზღვრული ასაკი, რომელიც პროგრამის ლიმიტით არის დადგენილი. მისი თქმით, როცა ბიუჯეტი მტკიცდებოდა ეს იყო ზედმეტად, არასწორად გაწერილი თანხა, რომლისთვისაც სხვაობა უნდა ყოფილიყო ბიუჯეტში თითქოს სოციალური პრობლემებისთვის, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისთვის რომ გაცილებით მეტი თანხა უნდა გამოყოფილი ესეც დასტურდება, იმიტომ მხოლოდ ქაღალდზეა ეს მანიპულირება და ცვლილება. დეპუტატის თქმით მან ბიუჯეტის განხილვის პროცესში მოითხოვა უფრო მეტი მტკიცებულებითი ფორმა დაწერილიყო, თუ რატომ შეესაბამებოდა ის თანხა რომელიც გამოყოფილი იქნა სოციალური სამსახურისთვის. მუნიციპალიტეტის სოციალური ფონიდან გამომდინარე იმ პუნქტებს მოაკლდეს თანხები რაც დოკუმენტის მიხედვით არის წარმოდგენილი, მისი თქმით ეს ყველაფერი სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს.

დეპუტატმა **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ იგი ვერ დაითანხმება დეპუტატ ნონა მურვანიძის ნათქვამს, რადგან მსგავსი ტიპის პროგრამებში სადაც ასაკობრივი კონტიგენტის მონაცვლეობა არის, რთულია ზუსტი გათვლების პროგნოზირება.

დეპუტატმა **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური ოქტომბერში ალბათ შემოვა წინადადებით, რომ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის დამატებით საჭიროა 19000 ლარი.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** უპასუხა, მსგავსი ტიპის წინადადებით სამსახური ვერ შემოვა საკრებულოში წინადადებით, რადგან აქ თანხების მხოლოდ შიდა მონაცვლეობაზეა საუბარი.

დეპუტატმა **კახა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის არგუმენტები არ აქვს ბიუროს წევრებს მოსმენილი და უმჯობესია მოუსმინონ და მსგავსი განცხადებები შემდეგ იქნას გაკეთებული.

დეპუტატმა **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ როცა ამ საკითხზე ადმინისტრაციული წარმოება იწყებოდა, სოციალური საკითხი საერთოდ არ იყო ჩადებული, დღევანდელ წარმოდგენილ დოკუმენტში კი არის შესული. მისი თქმით ადმინისტრაციული წარმოება იწყება სხვა საკითხზე, ხოლო კენჭისყრა კი ხდება სხვაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** ბიუროს წევრებს მიმართა, რომ გაეგრძელებინათ დღის წესრიგით დადგენილი საკითხების განხილვა და როცა გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი შემოუერთდებოდა სხდომას მაშინ დაბრუნდნენ პირველ საკითხს.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ 2016 წლის ბიუჯეტში სოციალური კუთხით, ერთჯერადი დახმარების პროგრამების ფარგლებში 100000 ლარი იყო გათვალისწინებული. დღეის მდგომარეობით გახარჯულია 90300 ლარი, შესაბამისად დარჩენილია 9700 ლარი. ისეთი პროგრამებით, რომლებშიც ბენეფიციართა რაოდენობების მიხედვით რჩება ეკონომიები, თანხების გადატანა ხდება ერთჯერადი დახმარების მუხლში. მრავალშვილიან ოჯახების დახმარების პროგრამიდან რომელშიც 30 ბენეფიციარს მოიცავს რჩება გარკვეული ეკონომია, ასევე მისი თქმით იყო გარკვეული სოციალურ-კულტურული პროგრამები, (მაგალითად პროექტებში მონაწილეობის თანადაფინანსების პროგრამა) რომლებიც ხაზინასთან მიმართებაში თანხების გატარების პროცესში გარკვეული პრობლემების გამო ვერ განხორციელდა, აქედან გამომდინარე ხდება სხვადასხვა პროგრამებიდან გამონთავისუფლებული თანხების ერთჯერადი დახმარების მუხლში გადატანა.

დეპუტატი **რომან ბიწაძე** დაინტერესდა, რომ თუ წლის დასაწყისში იყო ცნობილი მრავალშვილიანი 30 ბენეფიციარი, მაშინ პროგრამა რატომ დაიგეგმა მეტ რაოდენობაზე. ასევე იგი დაინტერესდა ბენეფიციართა დამატების შემთხვევაში თანხები საიდან იქნება მოძიებული.

გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნული მონაცემები არის ცვალებადი, ვინაიდან პროგრამა გულისხმობს ბენეფიციართა იმ კატეგორიას, რომლებიც არ ღებულობენ სოციალურ დახმარებას. არის შემთხვევები როცა ბენეფიციარებს ენიჭებათ სოციალურად დაუცველის სტატუსი, რის შემდეგაც ხდება მათი პროგრამიდან ამოღება. მისი თქმით წლის ბოლომდე ბენეფიციარის დამატების შემთხვევაში არსებობს გარკვეული რეზერვი.

დეპუტატმა **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ დიალექტის საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობას დაავადების დინამიკით შესაძლოა დაემატოს სულ რამოდენიმე ადამიანი, აქედან გამომდინარე ის თანხა, რომელიც გამოყოფილია აღნიშნულ პროგრამაზე რაიმე ცვლილებას არ საჭიროებს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება – მრწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3)პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ მან აღნიშნა, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირის სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ შეატყობინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს და პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ შეადგინოს, გასცეს ოქმი და პირის გარდაცვალების ფაქტის თაობაზე შეტყობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გააგზავნოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლისათვის შესაბამისი ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა უზრუნველყოს გამგეობის დებულებაში ცვლილების შეტანა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1)) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

- 3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ რომ გამგეობის იურიდიულ სამსახურში დღესდღეობით თავისი ჩათვლით მუშაობს სამი თანამშრომელი. თავად არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიისა და სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრი. ასევე, იგი სასამართლოსთან და სხვადასხვა უწყებებთან ურთიერთობებში წარმოადგენს მუნიციპალიტეტს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების ინსპექტირების მიზნით, მას უწევს მშენებარე ობიექტის ადგილზე დათვალიერება. თითქმის ყოველდღიურად ტარდება სატენდერო კომისიის სხდომა, ასევე ხშირია სასამართლო პროცესები. სამსახურის ფუნქციების უკეთ განსახორციელებლად, მიზანშეწონილად ჩაითვალია გამგეობის იურიდიულ სამსახურს დაემატოს მთავარი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული, რომელსაც დაევალება სასამართლოებთან წარმომადგენლობა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
- 2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“,

„ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი 1 წევრი (ნონა მურვანიძე).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის შექმნისა და დამტკიცების შესახებ 2014 წლის 24 ივნისის N43-ე განკარგულებაში შედის ცვლილება კერძოდ საკრებულოს დეპუტატი რომან ბიწაძე თავისი სურვილით ტოვებს აღნიშნულ კომისიას.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შექმნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ამავე კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის, თავმჯდომარის არჩევისა და პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N87 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძემ. მან აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმადაც თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია რომელიც გახლდათ შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოსთან არსებული კომისია ცვლილებების შედეგად გახლავთ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შექმნილი თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია. გამომდინარე აქედან, კანონის შესაბამისად საჭიროა განხორციელდეს ცვლილება და წარმომადგენლობით ორგანოსთან არსებულმა კომისიამ შეწყვიტოს მუშაობა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის, თავმჯდომარის არჩევისა და პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N87 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–

დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოვიდა ქ. ლანჩხუთში გორგასლის N45 მცხოვრების აკაკი ებრალიძის განცხადება, რომელიც ითხოვს თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის მისამართის მინიჭებას. მისი თქმით სამსახურმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნულ მიწის ნაკვეთს მიენიჭოს მისამართი საფო მგელაძი ქ. N53ა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3) პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე, ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ გამგეობაში შემოვიდა მოქალაქე თამარ ჩხაიძის განცხადება „რომელიც ითხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭოს მისამართი. სამსახურმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია ობიექტს მიენიჭოს ანა კალანდაძის ქ. N3 ა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ობიექტისათვის ნომრის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
- 3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხზე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დაქვემდებარებაში არსებული სამუსიკო სკოლის

მოსწავლეთა გარკვეული კატეგორიისათვის შეღავათების დაწესების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივა სხდომას გააცნო საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ია ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია პერიოდულად ატარებს მონიტორინგს იმ ა(ა)იპ-ში, რომლებიც უშუალოდ თავისი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, რომლის მიზანია გამოიკვეთოს ამა თუ იმ ა(ა)-იპ ში რა პრობლემებია, და რა კუთხით არის დახმარება საჭირო. მონიტორინგი ჩატარდა ქ. ლანჩხუთის მარკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო და სუფსის სამუსიკო სკოლებში. დეპუტატმა ორივე სკოლის მუშაობას ძალიან მაღალი შეფასება მისცა. მისი თქმით ლანჩხუთის სამუსიკო სკოლაში სწავლობს ორი სოციალურად დაუცველი მოსწავლე, ხოლო სუფსის სამუსიკო სკოლაში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების რაოდენობა გაცილებით მეტია. მან ინიციატივა დააყენა სამუსიკო სკოლებში სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ბავშვებს, ასევე ერთი ოჯახიდან ორ და მეტ მოსწავლე ბავშვს დაუწესდეს გარკვეული შეღავათები. დეპუტატმა ორივე სკოლასთან მიმართებაში წარმოადგინა კალკულაცია თუ წლის განმავლობაში რა თანხაზე იქნებოდა საუბარი, რომელმაც შეადგინა 8000 ლარი.

გაგებულმა **ზაზა ურუშაძემ** დასვა კითხვა, როცა უკვე წლის ნახევარზე მეტი გასულია, მიმდინარე წელს მხოლოდ დარჩენილ თვეების დაფინანსებაზე იყო თუ არა საუბარი.

დეპუტატმა **ია ჩხაიძემ** განმარტა, რომ მიმდინარე წელს მხოლოდ 4 თვის დაფინანსება იქნება დარჩენილი.

გამგებულმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ საკითხზე კონსულტაციების გავლა მოხდება გამგეობის საფინანსო სამსახურთან.

დეპუტატმა **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ინიციატივა არის ძალიან კარგი, მაგრამ სამწუხაროდ დაგვიანებულია. მალე უკვე 8 აგვისტო მოდის და არ მოესწრება, კანონიდან გამომდინარე ვეღარ შევიტანთ ბიუჯეტში ცვლილებას რადგან არჩევნებამდე დარჩენილი იქნება 2 თვე, ამიტომ მისი თქმით ამ საკითხის განხილვა გადავა ოქტომბრის თვეში.

დეპუტატმა **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა კომისიის მიერ 2 თვის უკან მოხდა. აქ არის რამდენიმე თვის დაფინანსებაზე საუბარი, ხოლო მომავალი წლიდან ახალი ბიუჯეტის ფორმირების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ეს საკითხი.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** მადლობა გადაუხადა დეპუტატ ია ჩხაიძეს აღნიშნული საკითხის დაყენებისათვის. მან იქვე აღნიშნა, რომ ეს საკითხის მას არაერთხელ დაუყენებია, სამუსიკო სკოლაში ნიჭიერი ბავშვების და ასევე სამუსიკო სკოლის პედაგოგების წახალისების საკითხი. იგი მხოლოდ მიესალმება წამოყენებულ თემას.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერს და მიესალმება წამოყენებულ ინიციატივას, თუმცა მისი განხორციელება უნდა მოხდეს კანონის სრულ შესაბამისობაში. მისი თქმით რადგან არჩევნები ახლოვდება კანონით დაწესებული რეგულაციები გათვალისწინებული უნდა იქნეს.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ მიმართა სხდომაზე მყოფ მუნიციპალიტეტის იურისტებს, რომ საკითხის განხილვა სამართლებრივი ფორმით წინააღმდეგობაში მოდის თუ არა კანონთან, მოესწრება თუ არა დროში, რომ წამოყენებულ ინიციატივაზე ადმინისტრაციული წარმოება დაიწყოს.

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა იურიდიულ საკითხებში ია მოქიამ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე საკრებულოს მხრიდან ადმინისტრაციული წარმოების დაწყება საჭირო არ გახლავთ. შემდგომში, თუ აღმასრულებელი ორგანო შემოვა ინიციატივით თანხის მონაცვლეობასთან დაკავშირებით, ეს გახდება თავისთავად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

მხარდაჭერილი და მოწონებული იქნას ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დაქვემდებარებაში არსებული სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გარკვეული კატეგორიისათვის შეღავათების დაწესების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ წარმოდგენილი ინიციატივა. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, საკრებულოს შესაბამის კომისიასთან ერთად, უზრუნველყოს საკითხის შესწავლა და შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარება.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ მოგახსენებთ, რომ 2015 წლის 27 იანვრის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო გეგმის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N8 განკარგულების 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტისა და დანართი N1-ის შესაბამისად განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა.

საპრივატიზაციო გეგმასა და ნუსხაში უნდა მოხდეს ცვლილება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმისათვის ცვლილება განპირობებულია ნუსხასა და გეგმაში ასახული რამოდენიმე ობიექტების პრივატიზირების და საპრივატიზაციო ნუსხასა და გეგმაში რამდენიმე ახალი ობიექტის დამატების გამო.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის N8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება – მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.
- 3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეათე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჭყონაგორაში მდებარე უძრავ ქონების (ს/კ 27.04.49.450) სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ მოგახსენებთ, რომ ჩვენს სამსახურს დაეწერა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ვასილ აბუსერიძის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც დასმულია საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სოფელ ჭყონაგორაში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 27.04.49.450) სარგებლობის უფლებით გაცემის სკითხი, რომელიც აუდიტის მიერ შეფასებულია 44 000 ლარად, ხოლო 2012 წელს ამ უძრავი ქონების სარიტუალო დარბაზად მოსაწყობად შეძენილი იქნა ინვენტარი, რომელიც აუდიტორული დასკვნის შედეგად შეფასებულია და მისი ღირებულებაა 4500 ლარი (სულ 48500 ლარი).

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 36-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის წესით) გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის და ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მოსაზრებაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ჭყონაგორაში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ27.04.49.450) ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა და ქირის წლიური საფასური განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის (48500 ლარი) 5%-ის - 2425 ლარის ოდენობით.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჭყონაგორაში მდებარე უძრავ ქონების (ს/კ27.04.49.450) სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „დამოუკიდებელი“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „მაჟორიტარები“ და „მეტი ქალი პოლიტიკაში“.

3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წლის პირველ ნახევარში შემოსულობებმა 7901343 ლარი შეადგინა რაც წლიური გეგმის 50,8%-ია, მათ შორის შემოსავლების საკასო შესრულება

1346077 ლარს შეადგენს წლიური გეგმის 37,4%-ი. აქედან გადასახდელების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 648008 ლარი გეგმის 42,4%-ი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 385277 ლარი გეგმის 28,2%-ი, არაფინანსური აქტივების კლებიდან /გაყიდვა/ მიღებულია შემოსავალი 312792 ლარი წლიური გეგმის 44,7%-ი, გრანტის სახით მიღებულია

6555266 ლარი წლიური გეგმის 54,8%-ი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 3547800 ლარი გეგმის 67,0%-ი, მიზნობრივი ტრანსფერი 109800 ლარი გეგმის 49,9%-ი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები 1680136 ლარი გეგმის 48,1%-ი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის 62370 ლარი გეგმის 7,7%-ი, სტიქიით მიყენებული ზიანის სარეაბილიტაციოდ 1155160 ლარი. წლის დარჩენილ პერიოდში შემოსავლების სახით ბიუჯეტში უნდა შემოვიდეს 2251123 ლარი, სავარაუდოდ ბიუჯეტის შემოსავლებში გარღვევა მოსალოდნელია საშემოსავლო გადასახადში 495832 ლარის ფარგლებში, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე 450000 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან /გაყიდვა/ 400000 ლარი, ანუ სულ წლიურ შემოსავლის გეგმის შესრულება სავარაუდოდ დაკლდება 1345832 ლარი. შემოსავლების გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის გასატარებელია მთელი რიგი ღონისძიებები რათა ბიუჯეტით აღებული ვალდებულებები სრულად იქნას დაფინანსებული.

მიმდინარე წლის 6 თვეში გაიხარჯა 7895173 ლარი წლიური ხარჯის 52,4%-ი, მათ შორის; შრომის ანაზღაურებაზე 951882 ლარი ფაქტიურად გაწეული ხარჯების 12,0%-ი,

/არაფინანსური აქტივების გარეშე 19,2%-ი/, შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე გაიცა 71644 ლარი ხარჯების 0,9%-ი, მივლინების ხარჯებზე მიმართულია 1885 ლარი, ოფისის ხარჯებზე 131506 ლარი რაც გაწეული ხარჯების 1,7%-ია, 14894 ლარის ხარჯი გაწეულია წარმომადგენლობით ხარჯებზე, გრანტის სახით ჩარიცხულია 431000 ლარი ხარჯების 5,5%-ი, 2571 ლარის რბილი ინვენტარი იქნა შეძენილი, ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯზე მიმართულია 56843 ლარი გაწეული ხარჯების 0,7%-ი, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯულია 155708 ლარი ხარჯების 2,0%-ი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე (ინფრასტრუქტურული ობიექტები) 2888660 ლარი საკასო ხარჯების 36,6%-ი, სუბსიდირებით გაიცა 2403320 ლარი ხარჯების 30,4%-ი, სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით გაიხარჯა 148433 ლარი ხარჯების 1,9 %-ი, სხვა ხარჯების მუხლით გაწეულია 4760 ლარის ხარჯი, ვალდებულების კლებაში /წინა პერიოდის დავალიანება/ მიმართულია 579476 ლარი აქედან ა(ა)იპ ტექ-სერვისის 6711 ლარი, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი გურიას 518107 ლარი, ინფრასტრუქტურული ობიექტების დაფინანსება 54053 ლარი.

მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 670 480 ლარს, ცენტრალური ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 6 444 479 ლარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მონეტარული ზღვარის გათვალისწინებით 6 თვის განმავლობაში სულ გამოცხადებული იქნა 41 ტენდერი, არ შემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 3, უარყოფითი შედეგით დასრულდა სამი ტენდერი. ტენდერების შედეგად მიღებული იქნა 583128 ლარის ეკონომია. ინფორმაცია ტენდერების შესახებ ასახულია დანართი №1-ში. ტენდერის საშუალებით გაფორმებული იქნა 26 ხელშეკრულება. სულ ექვსი თვის განმავლობაში განყოფილების მიერ გაფორმებული იქნა 142 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N175 განკარგულების შესაბამისად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამუშაოების შესრულების მიზნით ამავე განკარგულებით გამოყოფილია 3491156 ლარი. ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები და მიმდინარეობს სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდა თანადაფინანსება 130000 ლარის ოდენობით. ინფორმაცია სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ასახულია დანართი N2-ში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულების შესაბამისად სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 806256 ლარი. გამოყოფილი თანხიდან 50000 ლარის ოდენობით განხორციელდა რგფ-ის პროექტების თანადაფინანსება. დარჩენილი თანხა განაწილებული იქნა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებზე დასმული პრობლემების გათვალისწინებით. გამოყოფილი თანხით სულ სოფლებში დაფინანსდება 76 პროექტი. ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სამუშაოების შესახებ ასახულია დანართი N3-ში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის N964 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 850000 ლარი. სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი.

2016 წლის 1 ივლისისათვის ჩვენი განყოფილების მიერ ხორციელდებოდა

დებულებით გათვალისწინებული ყველა ფუნქცია. განყოფილებაში შემავალ თანამშრომელზე გადანაწილებული იყო განყოფილების მიერ შესასრულებელი ყველა ფუნქცია. ყოველდღიურად ხორციელდება: შემოსავლებისა და ხარჯების ყოველდღიური აღრიცხვა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურების მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების, პრემიების, სამივლინებო თანხების დარიცხვა და საბანკო ანგარიშებზე თავისდროულად ჩარიცხვა, საშემოსავლო გადასახადების ანგარიშების შედგენა და დადგენილ ვადაში საგადასახადო ინსპექციაში წარდგენა, მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად კომუნალური და სხვა გასაცემი თანხების მომწოდებლებზე თავისდროულად გადარიცხვა, მისაწოდებელი და მიწოდებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებთან

შესაბამისობის დადგენის შემდეგ და შესაბამისი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე მომწოდებელზე თანხის ჩარიცხვა, ბუღალტრული დოკუმენტების, აღრიცხვის რეგისტრების, ხარჯთანუსხების, მათი გაანგარიშებების და სხვა საბუთების შენახვაზე კონტროლი და დადგენილი წესით მათი გაარქივება, ბიუჯეტის შემოსავლების და გადასახდელების ყოველდღიური აღრიცხვა, რითვისაც ყოველდღიურად ვამუშავებდით ხაზინიდან მიღებულ ამონაწერს (ავიზოს), ვუზრუნველყოფდით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების დადგენილი წესით დაბრუნებას, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებებიდან საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ანგარიშების (ბუღალტრული ბალანსების) მიღებას, შემოწმებას და ანალიზს, წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ-ფაქტურა და სხვა) საფუძველზე საგადახდო დავალების მომზადებას გადახდის განსახორციელებლად. ხდებოდა მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა და კონტროლის განხორციელება საბიუჯეტო დაწესებულებებსა და მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მიერ დაფუნდებული საწარმოებებსა და დაწესებულებების საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშების და მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ხარჯვის დროს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების სწორად განხორციელების საკითხებზე.

2016 წლის 1 ივლისისათვის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების განყოფილების მიერ მიღებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუნდებული თერთმეტი არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშების ფორმები, სულ ჯამში 61 ცალი ყოველთვიური ანგარიშის ფორმა და შპს

„ლანჩხუთი“-ს მიერ წარმოდგენილი 3 ცალი ყოველთვიური ანგარიშის ფორმა. აღნიშნული ფორმები შედარებული იქნა ა(ა)იპ-ების და შპს მიერ წარმოდგენილ წლიურ ხარჯთაღრიცხვებთან და მათ მიერ გაწეულ ხარჯებთან. ასევე 2016 წელს მიღებული იქნა 3 ცალი კვარტლური ანგარიშის ფორმა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 2016 წლის I-II კვარტლების ბალანსების მიღება-დამუშავებაზე. განყოფილების მიერ ხდებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული და ხელშეკრულებით აყვანილი სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავ-საცხები მასალების მიღება-გაცემასა და ხარჯვაზე კონტროლი, სადაც საწვავის ჩამოწერა ხორციელდებოდა წარმოდგენილი გარბენილი კილომეტრების მიხედვით.

გამგებელმა ზაზა ურუშაძემ აღნიშნა, რომ მას წინა დღეს გამგებლის წარმომადგენლებთან ჰქონდა შეხვედრა. მისი თქმით, სიას რვა სოციალურად დაუცველი ოჯახი დაემატა და მათ უახლოეს ხანში მოუგვარდებათ სახურავების პრობლემა. მან დეპუტატებს თხოვნით მიმართა, რომ აღნიშნულ სკითხზე რწმუნებულებთან ერთად ემუშავათ და საბოლოო სია წარმოედგინათ. მან ასევე სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების შესახებ ისაუბრა. როგორც აღნიშნა სტიქიამ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი საკმაოდ დააზარალა. როგორც გამგებელმა განაცხადა შესაბამის სამსახურებთან ერთად განიხილა ეს საკითხი, ჩამოსული იყო ასევე რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ნოდარ

ჯავახიშვილი, ბუნების დაცვის მინისტრის მოადგილე, რომლებთან ერთადაც მოხდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების შემოწმება. აღნიშნულთან დაკავშირებით, მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 652 300 ლარი.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, სახლების გადახურვისთვის მოსახლეობისთვის სამშენებლო მასალების გადაცემის შემდეგ იყო ფაქტები მოსახლეობის მხრიდან მასალების გაყიდვის.

გამგებელმა ზაზა ურუშაძემ აღნიშნა, რომ სოფლის რწმუნებულებთან ერთად ყველანი აქტიურად ჩაერთვება მსგავსი ფაქტების მონიტორინგის საკითხში, რადგან გადაცემული მასალების გაყიდვის ფაქტი მოსახლეობის მხრიდან არ განმეორდეს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ მოუწოდა ბიუროს წევრებს და გამგეობის სამსახურებს, რომ აქტიურად ჩაერთონ ბიუჯეტის წლიური გეგმის შესრულების პროცესში.

სხვადასხვა:

დეპუტატმა ია ჩხაიძემ ისაუბრა გრიგოლეთში სასტუმრო „ვილარეტაში“ გამართულ შეხვედრის შესახებ, რომელიც გრიგოლეთის კურორტად აღიარების საკითხს ეხებოდა. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, გრიგოლეთის სანაპირო ზოლი საუკეთესოა და იგი მარგალიტს შეადარა. მისი აზრით, გრიგოლეთის სანაპირო ზოლიდან დიდი შემოსავლის მიღებაა შესაძლებელი. როგორც სასტუმროში გამართულ შეხვედრაზე ითქვა, მსოფლიოში ურეკის მაგნიტური ქვიშის შემდეგ საუკეთესო თვისებების მქონე გრიგოლეთის ქვიშა ყოფილა. სანაპირო ზოლის განვითარებისთვის პირველი ნაბიჯებია გადასადგმელი, მისი თქმით უნდა გატარდეს რიგი ღონისძიებები საკურორტო ზონად აღიარებისთვის. პირველი ნაბიჯები რაც უნდა გადაიდგას არის შესწავლა, მეცნიერული დასკვნების მომზადება, რათა პასპორტი, მონაცემები შედგეს კურორტთან დაკავშირებით. შეხვედრაზე იმყოფებოდა შუქრი თავართქილაძე, რომელმაც განაცხადა, რომ მას პატარა მონაკვეთი აქვს შესწავლილი, რომელიც იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ მართლაც უნიკალური თვისებების მქონე არის გრიგოლეთის სანაპირო, როგორც ჰაერით, ტენიანობით, მაგნიტური ქვიშით, რადიაციის ყველაზე დაბალი დონით, უნიკალური ფიჭვნარით, რომელსაც განახლება სჭირდება. აუცილებელია მისი ხელახლა განაშენიანება. მისი მოსაზრებით, ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და ჯანდაცვის სამინისტროს ერთობლივი

მონაწილეობაა საჭირო, რომ მოხდეს დასკვნის მომზადება. როგორც შეხვედრაზე ითქვა, 7 კილომეტრია სანაპიროს სიგრძე, ერთი კილომეტრის შესწავლა კი 2700 ლარი ჯდება. ამ სამუშაოს შესრულებას მოჰყვება მთელი რიგი რეგულაციები. დეპუტატმა გამგებელს სასტუმროს მეპატრონეების შეკითხვა გადასცა, თუ რატომ არ ჰყავს მუნიციპალიტეტს ერთი მანქანა მაინც პლაჟის დასასუფთავებლად.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** უპასუხა, რომ სახელმწიფომ ოზურგეთს სამი ასეთი მანქანა გადასცა, ვინაიდან ურეკი საკურორტო ზონაა. მაგრამ მანქანა მოემსახურება ლანჩუტსაც, ხელშეკრულება გავაფორმებულია ოზურგეთთანაც. ერთი მანქანა გათვლილია 35 კილომეტრიან ზოლზე. როგორც გამგებელმა აღნიშნა 1 კვირა გრიგოლეთში 40-მდე დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები მუშაობდა, გაიწმინდა ტერიტორიები. მისი თქმით, გრიგოლეთის პლაჟი არ არის მუნიციპალური საკუთრება, წლის დასაწყისში შესაბამისად არც ხარჯის გამოყოფა მოხდა. მისი განცხადებით, ხარჯის გამოყოფა ვერ მოხდება იმაზე, რაც მუნიციპალიტეტს არ ეკუთვნის. გამგებლის თქმით, გრიგოლეთში დგას 8 სანაგვე ურნა, მოქალაქეებს უნდა ეყოს თვითშეგნება, რომ ნაგავი ურნამდე მიიტანონ და გარემო არ დააზინდონ.

დეპუტატ **ია ჩხაიძის** განცხადებას, რომ გრიგოლეთის სანაპირო ზოლი მუნიციპალური საკუთრებაა, **გამგებელმა** უპასუხა, რომ სანაპირო ზოლი სადაც უშუალოდ ქვიშაა, ეკუთვნის სანაპირო დაცვის სამსახურს.

ია ჩხაიძემ ინიციატივა გამოთქვა, რომ შესასწავლად თანხები მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას. რაზეც მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** უპასუხა, რომ შესწავლა უნდა დაწყებულიყო, მაგრამ შუქრი თავართქილაძემ თავდაპირველად მოითხოვა 6 ათასი ლარი, და საბოლოოდ 15 ათას ლარზე ავიდა. ამდენის გადახდის საშუალება კი ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტს არ აქვს.

დეპუტატმა **გიორგი ჩახვაძემ** განაცხადა, რომ მართალია გრიგოლეთში ტერიტორიები განკერძოებულია, მაგრამ პლაჟის დასუფთავება უნდა მოხდეს, ვინაიდან დამსვენებლის გარდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაც სარგებლობს. მისი აზრით, თუ მომავალი წლის ბიუჯეტში დასუფთავებისთვის თანხები გამოიყოფა, კანონდარღვევას არ უნდა წარმოადგენდეს.

დეპუტატმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ არის თხოვნა სუფსის სამუსიკო სკოლის შენობა, რომელიც ირიცხება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე უზურფრუქტის წესით გადმოეცეს მუნიციპალიტეტს. ასევე მან აღნიშნა, რომ მოსახლეობის ელექტრო-მომარაგება ხდება 250 ამპერი სიმძლავრით, რომელიც მოსახლეობისთვის გაზრდილი ელექტრო ენერჯის საფასურის გადახდას იწვევს. მისი თქმით აუცილებელია ელექტრო-პრო ჯორჯიას ხელმძღვანელობას წერილით მიემართოს რათა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი გამოსწორდეს. მან დააყენა სოფ.ხიდმაღალასა და სოფ.გრილოლეთს შორის გარე განათების საკითხი. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ სუფსის ცენტრში არის ხის დიდი ტოტი რომელიც

საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, მისი თქმით უნდა დაევალოს გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს აღნიშნული საკითხის მოგვარება.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ქალაქის მთავარი პარკის ბოლოს არის დიდი ჭადრის ხე, რომელიც ქარიან ამინდში საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, მისი თქმით მოსახლეობა ითხოვს აღნიშნული ხის მოჭრას.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო